

## საქართველოს კანონი

### საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ

ეს კანონი აწესრიგებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

#### მუხლი 1

1. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქართველო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ოპერაციებში მონაწილეობის მიზანშეწონილობას.

3. ამ კანონის მიზნების განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული შეიარაღებული ძალების რაოდენობის ფარგლებში იქმნება სამშვიდობო ძალები (ქვედანაყოფები და შენაერთები), რომლებიც გადიან სპეციალურ მომზადებასა და სწავლებას (ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებაზე კონტროლი, დაპირისპირებული მხარეების დამორიშორება, მათი განიარაღება და დაშლა, საინჟინრო სამუშაოების წარმოება).

4. სამშვიდობო ძალების სტრუქტურა განისაზღვრება შეიარაღებული ძალების სტრუქტურის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 2

საქართველოს სამშვიდობო ძალების წარდგენა და გამოყენება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებისა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც აგრეთვე შეიძლება ითვალისწინებდეს იძულებითი ზომების გატარებას, დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

#### მუხლი 3

საქართველოს მთავრობა საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული სამხედრო მოსამსახურეების ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების, დაპირისპირებულ მხარეთა დამორიშორებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის და სხვა ისეთი სახის სამშვიდობო საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებითი ზომებისა და სამშვიდობო ძალის გამოყენებასთან, ნებაყოფლობითი გაგზავნის შესახებ.

*საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.*

#### მუხლი 4

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამის დაწესებულებასთან შეთანხმების შემდეგ საქართველოს მთავრობას წარუდგენს იმ საჯარო მოსამსახურის კანდიდატურას, რომელიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე დამხმარე სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილი უნდა იქნეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა ისეთი სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებითი ზომებისა და სამშვიდობო ძალის გამოყენებასთან.

*საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.*

#### მუხლი 5

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციების უზრუნველსაყოფად და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფო მატერიალური რეზერვებიდან მატერიალურ-ტექნიკური, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახელმწიფო რეზერვებიდან გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

*საქართველოს 2005 წლის 10 ივნისის კანონი №1610 - სსმ I, №33, 01.07.2005 წ., მუხ.204*

*საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.*



### მუხლი 6

1. თუ საქართველომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად დაიწყო სამშვიდობო ძალების ფორმირება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა ისეთი სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც დაკავშირებულია იძულებითი ზომებისა და სამშვიდობო ძალების გამოყენებასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ხელმოწერის მიზნით, რომლებიც განსაზღვრავს ჯარების რაოდენობას, სახეობას, საერთო განლაგებას, მზადყოფნის ხარისხს, მომსახურებისა და დახმარების საშუალებების ხასიათს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება რატიფიცირებას.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

### მუხლი 7

საქართველოს ყველა საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში სამშვიდობო ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება რატიფიცირებას.

### მუხლი 8

1. საქართველოს მთავრობა სამშვიდობო ძალების ან/და სამოქალაქო პერსონალის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების ოპერაციებში ან/და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნისათვის ამტკიცებს ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმას.

2. საქართველოს სამშვიდობო ძალების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში, აგრეთვე სხვა წყაროებიდან.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

### მუხლი 9

1. სამშვიდობო ძალების მოსამზადებლად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო:

ა) საქართველოს პრეზიდენტს – საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს წარუდგენს წინადადებებს სამშვიდობო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ ქვედანაყოფებისა და შენაერთების ნუსხას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში;

გ) ახორციელებს სამშვიდობო ძალების მომზადებასა და შეიარაღებას, აგრეთვე უზრუნველყოფს მათ ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

დ) საერთაშორისო ნორმების შესაბამისად შეიმუშავებს სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელს და განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2. სამშვიდობო ძალების მომზადება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1388 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

### მუხლი 10

საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, საქართველოს პარლამენტს წარუდგენენ მოხსენებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ.

### მუხლი 11

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე  
თბილისი,

1999 წლის 22 ივლისი  
№2292-რს

